



საჩუქრადგაცემი წერილი





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით
განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების
ხელმძღვანელობას

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული
საბიუჯეტო ორგანიზაციების 2020 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

19 ოქტომბერი 2021 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს
ბატონ თორნიკე რიჟვაძეს
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ პარმენ ჯალაღონიას
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტყარაძეს
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს
ქალბატონ მაია ხაჯიშვილს
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ნინო ნიჭარაძეს
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ გიორგი სურმანიძეს

მოგესხენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის მომზადებული (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა პირობითი მოსაზრება.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისათვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

კახაბერ კირტავა



აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	1. რეკომენდაციები	3
	2. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები	9
	3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	11
	საკონტაქტო ინფორმაცია	14

ტერმინები და შემოკლებები

მთავრობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

უმაღლესი საბჭო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

გზების დეპარტამენტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

ორგანიზაცია – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაცია.

სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო.

სპორტის დეპარტამენტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სპორტის დეპარტამენტი.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

1. რეკომენდაციები

1.1 არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

შიდა კონტროლის სისტემის სისუსტისა და ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში არსებული ხარვეზების გამო, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 1,836 ერთეული სასოფლო-სამეურნეო/არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები. შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული ორგანიზაციების 2020 წლის ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების ნაშთი არანაკლებ 760,666,952 ლარით უზუსტოდ, შემცირებულად არის წარმოდგენილი.

მოქმედი რეგულაციებით, სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობს, მართავს და განკარგავს ქონებას, აგრეთვე ახორციელებს ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს საქართველოს კანონმდებლობის, ამ კანონის და მის საფუძველზე მიღებული (გამოცემული) სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სამინისტროს ბალანსზე უნდა ირიცხებოდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა ქონება, მათ შორის, არაფინანსური აქტივები, რომლის პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა. მოქმედი რეგულაციებით, ქონების ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხვა ხორციელდებოდა მხოლოდ პირველადი გადაცემის შემდეგ, ქონების მიმღების მიერ, ხოლო აღრიცხვაში ასახვის დრო დგება მაშინ, როდესაც ხდება არაფინანსურ აქტივებზე საკუთრების უფლების მოპოვება ან დათმობა.

სამინისტროს უფლებამოსილი პირის განმარტებით, აუდიტის სამსახურის მიერ წინა საანგარიშგებო პერიოდის (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, სამინისტროს მიერ დაწყებულია არაფინანსური აქტივების ბალანსზე აღრიცხვის პროცედურები. კერძოდ, აუდიტის მიმდინარეობისას სულ 1,836 ერთეული ქონებიდან განხორციელებულია 1,037 დასახელების აქტივების შეფასება და აღრიცხვა, მათ შორის, ბათუმის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აღურიცხავი 316 დასახელების აქტივებიდან არიცხულ იქნა 299 ერთეული, ხოლო აღურიცხავი რჩება 17 დასახელების, ნორმატიული ფასით – 15,456,125 ლარის ღირებულების აქტივები, თუმცა მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესი გაგრძელდეს და სამინისტროს საკუთრებაში არსებული ქონებები სრულად შეფასდეს და აისახოს საბალანსო მონაცემებში.

აუდიტის მიგნება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივები არანაკლებ 447,926 ლარით უზუსტოდ, შემცირებულად არის წარმოდგენილი, რაც ძირითადად განპირობებულია შესაბამის სამინისტროებში შიდა კონტროლის სისტემის სისუსტისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი მხარჯავი დაწესებულებების ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში არსებული ხარვეზებით, კერძოდ:

- ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრზე უსასყიდლოდ, არსებობის ვადით, სარგებლობაში გადაცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული 6 დასახელების სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ერთი დასახელების, 102,420 ლარის ღირებულების 1,115 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი აგროსერვის ცენტრის ფინანსურ ანგარიშგებაში და სამინისტროს ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.

- ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტზე, უსასყიდლოდ, არსებობის ვადით, სარგებლობაში გადაცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ 13 დასახელების, არანაკლებ 345,506 ლარის ღირებულების აქტივები, გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებასა და ჯგუფის ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.

აუდიტის მიგნება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული წიაღისეული რესურსების ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე აღურცხველობის გამო, 2020 წლის ნაერთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, არაწარმოებული აქტივების ნაშთი არსებითად უზუსტოდაა წარმოდგენილი.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 აპრილის N98 დადგენილების საფუძველზე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზია, საშენი მასალებისა და მიწისქვეშა წყლების მოსაპოვებლად. მოქმედი რეგულაციიდან გამომდინარე, ყველა რესურსი, რომელსაც ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აკონტროლებს წარსულში მომხდარი ეკონომიკური მოვლენების შედეგად და საიდანაც მოელის ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღებას, აქტივებია და ექვემდებარება აქტივად აღიარებას. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს მიერ გაცემულია ჯამში 258,256,421 კუბ.მ წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, თუმცა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული რესურსები არაწარმოებულ აქტივებად არ არის აღიარებული.

მიზეზი

მხარჯავი დაწესებულებების ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში არსებული ხარვეზები და შიდა კონტროლის სისტემის სისუსტე.

გავლენა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული ორგანიზაციების 2020 წლის ნაერთ (კონსოლიდირებულ)

	ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების ნაშთი შემცირებულად არის წარმოდგენილი.
რეკომენდაცია	ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებების მფლობელობაში არსებული აქტივების შეფასება და აღრიცხვა, რაც შეამცირებს ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის არასწორად ასახვის რისკს.
კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ა(ა)იპ – აგროსერვისცენტრი, გზების დეპარტამენტი.

1.2 ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

აუდიტის მიგნება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების სრულყოფილად აღურიცხველობის გამო, 2020 წლის ნაერთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, სხვა გრძელვადიანი მოთხოვნების ნაშთი 165,020 ლარით უზუსტოდაა წარმოდგენილი. კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, წინა პერიოდში, სპეცსახსრების ანგარიშიდან, ჩაის მოსავლის რეალიზაციის ღონისძიებისათვის, მიმწოდებლებზე ავანსად გადახდილი 165,020 ლარი ერიცხება დებიტორულ დავალიანებად, თუმცა რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული დავალიანება არ არის ასახული.
მიზეზი	სამინისტროს ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში არსებული ხარვეზები და შიდა კონტროლის სისტემის სისუსტე.
გავლენა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების და სამინისტროს ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების ნაშთი უზუსტოდ, შემცირებულადაა წარმოდგენილი.
რეკომენდაცია	ნაერთი (კონსოლიდირებული) ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, განხორციელდეს ავანსად გადახდილი თანხების კონსოლიდირებულ და სამინისტროს ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა, ამასთანავე, შეფასდეს მათი რეალობა, ხანდაზმულობა, ამოღების ალბათობა და ა.შ. მოცემული შეფასების საფუძველზე, მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, სამინისტროს ხელმძღვანელობამ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.
კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

1.3 ვალდებულებები

აუდიტის მიგნება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ (კონსოლიდირებულ)
------------------------	---

	ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქონლისა და მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულების ნაშთი შეადგენს 873,555 ლარს, საიდანაც 13,007 ლარის ღირებულების ვალდებულების ნაშთი უსაფუძვლოა, რადგან წარმოდგენილი დოკუმენტებით დაუზუსტებელია დავალიანების წარმოშობა. აუდიტის ობიექტს არ განუხორციელებია აქტივობა დავალიანების რეალობის დასადგენად, ამასთანავე, აუდიტორების მოთხოვნის მიუხედავად, ვერ იქნა მოწოდებული მევალე პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, რის გამოც ვალდებულების დასადასტურებლად აუდიტის პერიოდშიც ვერ გაიგზავნა გარე დასტურის წერილი და, შესაბამისად, ვერ ჩატარდა სათანადო აუდიტორული პროცედურები.
მიზეზი	ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში არსებული ხარვეზები და შიდა კონტროლის სისტემის სისუსტე.
გავლენა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში და უმაღლესი საბჭოს ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულების ნაშთი დაუსაბუთებლად, არარეალურად არის წარმოდგენილი.
რეკომენდაცია	ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, განხორციელდეს უმაღლესი საბჭოს ბალანსზე აღრიცხული ვალდებულების რეალობის შეფასება, ხანდაზმულობა, გადახდის მიზანშეწონილობა და ა.შ. მოცემული შეფასების საფუძველზე მიღებულ იქნეს მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებით სათანადო გადაწყვეტილება.
კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.
1.4 ინვენტარიზაცია	
აუდიტის მიგნება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, შიდა კონტროლის სისტემის სისუსტისა და პასუხისმგებელი პირების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო, დარღვეულია ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი. რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციაში მოქმედი რეგულაციების დაცვით არ ტარდება მოთხოვნებისა და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაცია. კერძოდ, 331,615,676 ლარის ღირებულების აქტივებსა და ვალდებულებებზე ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული. ამასთანავე, გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც 50,527,574 ლარის ღირებულების ქონებას საინვენტარო ნომრები არ აქვს მინიჭებული ან/და აქტივებზე არ არის მითითებული ქონების ბრენდი და მოდელი, რის გამოც ვერ ხერხდება საინვენტარო ქონების იდენტიფიცირება. ამდენად, მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმების გამოუყენებლობა წარმოშობს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების ფაქტობრივად არარსებობის რისკებს.

ცხრილი N1. ინფორმაცია ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ

N	აუდიტის ობიექტი	ექვემდებარებოდა ინვენტარიზაციას	არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია	არ არის მინიჭებული საინვენტარო ნომერი
1	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებები	1 689 350 563	249 054 297	37 697 880
2	განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქვეუწყებო დაწესებულებებით	134 872 680	71 644 144	3 484 584
3	სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქვეუწყებო დაწესებულებებით	36 331 320	217 725	7 735 888
4	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	15 278 082	10 635 460	1 292 156
5	მთავრობა	7 484 145	52 530	4964
6	უმაღლესი საბჭო	7 413 476	11 520	312 102
ჯამი:		1 890 730 266	331 615 676	50 527 574

მიზეზი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, შიდა კონტროლის სისტემის სისუსტე.

გავლენა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ფაქტობრივად არარსებობის რისკი.

რეკომენდაცია

ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციებმა, მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე უზრუნველყონ ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება, შეფასება და შედეგების ბუღალტრული ასახვა.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

1.5 საცნობარო მუხლები**აუდიტის მიგნება**

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შიდა კონტროლის სისტემის სისუსტის და სპორტის დეპარტამენტის ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში არსებული ხარვეზების გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, საცნობარო მუხლში, ხარჯებში ჩამოწერილი მარაგების ნაშთი 98,563 ლარით უზუსტოდ, გაზრდილად არის წარმოდგენილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ კონსოლიდირებულ

ანგარიშგებაში, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხარჯებში ჩამოწერილი 1,155,521 ლარის ღირებულების აქტივები ირიცხება მარაგების ნაშთში, საიდანაც 98,563 ლარის ღირებულების აქტივები ეკუთვნის განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ დეპარტამენტს აღნიშნული აქტივები ფიზიკურად არ გააჩნია, რადგან დაშვებული უზუსტობის გამო, საბალანსო ნაშთად კვლავ ირიცხება წინა პერიოდში სპორტულ ფედერაციებზე გადაცემული სპორტული ინვენტარი და ფორმები. ამასთანავე, შეცდომითაა ნაშთად ასახული დეპარტამენტის მიერ წინა პერიოდში გახარჯული საკანცელარიო-სამეურნეო საქონელი და საწვავ-საპოხი მასალები, რომელიც შესაბამის პერიოდში არ იქნა აღიარებული ხარჯებად და კვლავ ერიცხება ნაშთად.

მიზეზი

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შიდა კონტროლის სისტემის სისუსტის და სპორტის დეპარტამენტის ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში არსებული ხარვეზები.

გავლენა

ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში და სპორტის დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში, საცნობარო მუხლის ნაშთი უზუსტოდ, გაზრდილად არის წარმოდგენილი.

რეკომენდაცია

ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სპორტის დეპარტამენტმა განახორციელოს საცნობარო მუხლში ასახული აქტივების ფაქტობრივად არსებობის შეფასება და მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით მიღებულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სპორტის დეპარტამენტი.

2. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები

2.1 ტრანსპორტის ხარჯები

აუდიტის მიგნება

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების საკუთრებაში არსებულ 208 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გაწეულია 1,185,349 ლარის ხარჯი, მათ შორის, აუდიტორული შერჩევის საფუძველზე შესწავლილი 129 ერთეულის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვისათვის გაწეული ხარჯი შეადგენს 809,707 ლარს, საიდანაც საწვავის ხარჯი 424,902 ლარია.

მოქმედი რეგულაციებით, სამსახურებრივ მივლინებად ითვლება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით მოსამსახურის გამგზავრება, თუმცა ტრანსპორტთან დაკავშირებული ხარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ რიც შემთხვევაში შესაძლებელია სამსახურებრივი ავტომობილები არასამსახურებრივი მიზნებისათვის იქნა გამოყენებული და საწვავი არამიზნობრივად დაიხარჯა, კერძოდ:

- 11 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე 63 შემთხვევაში, ცალკეული უწყების შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი არ იმყოფებოდა მივლინებაში, თუმცა ავტომანქანა დაფიქსირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და ჩასხმულია ჯამში 2,864 ლიტრი, 6,465 ლარის ღირებულების საწვავი. აღნიშნულ შემთხვევებზე, შესაბამისი უწყებების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტური დადასტურება, ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით.

- გზების დეპარტამენტის მიერ პლასტიკური ბარათებით (VIP ბარათები), ჯამში გახარჯულია 1,168 ლიტრი 2,656 ლარის ღირებულების საწვავი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ 1,314 ლარის ღირებულების (535 ლიტრი) საწვავის ხარჯვაზე არ არის წარმოდგენილი სამსახურებრივი საჭიროებისათვის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის, ორ შემთხვევაში ბარათით საწვავის ჩასხმა დასტურდება ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ცხრილი N2. დასაბუთების გარეშე საწვავის ხარჯვის შესახებ

N	დასახელება	მანქანის ნომერი	ჩასხმების რაოდენობა	საწვავის რაოდენობა	საწვავის ღირებულება
1	საავტომობილო გზების დეპარტამენტი	MM992UU	3	99	195
		CM101MC	6	312	723
		VD101DV	1	50	135
		VD103DV	2	97	247
		VD104DV	1	54	148
		VD104DV -VIP	2	31	83
2	ბათუმის ბულვარი	BX585XX	3	94	210
3	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	XX944XY	14	567	1 308
4	სატყეო სააგენტო	CC761DD	1	54	123
		DZ372ZD	7	309	664
5	სპორტის დეპარტამენტი	PP446GP	23	1 197	2 629
	ჯამი:		63	2864	6465
6	საავტომობილო გზების დეპარტამენტი	VIP ბარათი	16	535	1314
	სულ ჯამი		79	3399	7779

აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს და წარმოშობს არასამსახურებრივი დანიშნულებით საწვავის გამოყენების რისკებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ანგარიშში იდენტიფიცირებულ ხარვეზებზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება და მხარჯავ დაწესებულებებში ისეთი კონტროლის მექანიზმ(ებ)ის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად, ეკონომიურად და მიზნობრივად ხარჯვას.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა შეუსაბამობა

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გზების დეპარტამენტი, სსიპ – ბათუმის ბულვარი, სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტო, სპორტის დეპარტამენტი.

2.2 სარეზერვო ფონდი

აუდიტის მიგნება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან 591 შემთხვევაში დაკმაყოფილებულია მოქალაქეთა თხოვნა და გახარჯულია 1,922,369 ლარი, მათ შორის: ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარებისათვის გახარჯულია 998,360 ლარი, ფიზიკური პირების (მოქალაქეების) მკურნალობისათვის გახარჯულია 733,671 ლარი, სამკურნალო მედიკამენტების შეძენისათვის 140,734 ლარი, ხოლო სხვადასხვა სარეაბილიტაციო და სამედიცინო ინვენტარის შესაძენად – 49,604 ლარი. ამავე პერიოდში არ არის დაკმაყოფილებული 321 განცხადება.

აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში, ფიზიკური პირების მიერ მკურნალობასთან და მატერიალურ დახმარებებთან დაკავშირებით წარდგენილი განცხადებები განხილულია ერთმანეთისაგან გასხვავებული მიდგომით, კერძოდ:

- ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი გადასახდელი თანხის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებაზე მოქალაქეებს უარი ეთქვათ იმ მოტივით, რომ მოქმედი პროგრამა არ ითვალისწინებს ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, თუმცა სხვა ანალოგიურ შემთხვევაში დაფინანსებულია ჩატარებული ოპერაციების ღირებულება.

- საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებასთან დაკავშირებით მოქალაქეებს უარი ეთქვათ იმ მოტივით, რომ უნდა მიმართონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მიღებული დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების წარმოდგენის შემდეგ, შეუძლიათ მიიღონ დახმარება, თუმცა სხვა შემთხვევებში აღნიშნული მოთხოვნის გარეშე დაფინანსებულია მკურნალობის ხარჯები. ასევე, რიგ შემთხვევებში სოციალურად დაუცველ ოჯახებზე განსხვავებული მიდგომით გაცემულია ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა შეუსაბამობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტროს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა განხორციელოს კონტროლის ქვეშ მყოფი არაფინანსური აქტივების აღრიცხვა, მისი საიმედოდ შეფასება და ბალანსზე ასახვა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია სსიპ – ბათუმის ბულვარი	ფინანსური ანგარიშგების საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდეს სსიპ – ბათუმის ბულვარის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული აქტივების შეფასება და აღრიცხვა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტროს ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა დაკისრებული ჯარიმების, პირგასამტეხლობის, სანქციების და სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად დაკისრებული თანხების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვასთან დაკავშირებით.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო სსიპ – ბათუმის ბულვარი	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, განხორციელდეს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების ინვენტარიზაცია, შეფასდეს მათი რეალობა, ხანდაზმულობა, ამოღების ალბათობა და ა.შ. მოცემული შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ იქნეს ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმატიულ მოთხოვნათა შესაბამისი გადაწყვეტილება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია სპორტის დეპარტამენტი გზების დეპარტამენტი სსიპ – ბათუმის ბულვარი სსიპ – აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი	სამართლიანი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ, მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე უზრუნველყონ ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება და შედეგების ბუღალტრული ასახვა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად, ანგარიშგების მომზადებისას განხორციელდეს შიდაჯგუფური ოპერაციების იდენტიფიცირება. საბალანსო ერთეულებმა უზრუნველყონ განხორციელებულ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროები	ოპერაციებსა და ნაშთებზე ურთიერთშედარება, ხოლო ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას განხორციელდეს აღნიშნული ოპერაციების/ნაშთების ელიმინირება.
სახაზინო სამსახური	
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია	სამინისტროს ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში აქტივების მართვის პროცესის სისტემურ გაუმჯობესებას. ამასთანავე, სამინისტროს ხელმძღვანელობამ გამოიკვლიოს ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრში ქონების დაზიანების გამოძვევები მიზეზები და სუბიექტური ფაქტორების გამოვლენის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია	განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მენეჯმენტის გაუმჯობესებისთვის, სამინისტროს ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც, ობიექტური საჭიროებებიდან გამომდინარე, საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, უზრუნველყოფს დასაქმებულის ორ სხვადასხვა პოზიციაზე საქმიანობის შეზღუდვას, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა. ამასთანავე, სამინისტროს ხელმძღვანელობამ სისტემაში შემავალ ორგანიზაციებში განხორციელოს ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით მიღებული გადაწყვეტილებების მიზანშეწონილობის შეფასება და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.
სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი	
ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა	
სსიპ – აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი	
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული
სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი და ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა.	
სსიპ – აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი	მიმდინარე
რეკომენდაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ შეიმუშაოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლებითაც უზრუნველყოფილი იქნება მივლინების დაგეგმვის ეტაპზე მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება, ხოლო

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მივლინების დასრულების შემდეგ – დაგეგმილი და მიღებული შედეგების გაანალიზება და ეფექტიანობის შეფასება. შესრულებული.
რეკომენდაცია სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, მივლინებების დროს ზედმეტად ანაზღაურებული და დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გახარჯული 1,292 ლარის ბიუჯეტში დაბრუნების უზრუნველსაყოფად. შესრულებული.
რეკომენდაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	ავტომობილების საჭიროების მიხედვით გადანაწილებისა და ავტოპარკზე გასაწევი ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ შეიმუშაოს ტრანსპორტის ხარჯების ოპტიმიზაციის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ავტოპარკის ოპტიმალურ გადანაწილებას, კლასიფიცირებას და ავტომობილების ზღვრული ოდენობის კონტროლს, ხოლო ავტოპარკით მოსარგებლე ორგანიზაციებს დაავალდებულებს შეიმუშაონ საწვავის ლიმიტის გაანგარიშების წესი, რაც დაფუძნებული იქნება თვის განმავლობაში ავტომობილის მიერ სამსახურებრივი დანიშნულებისთვის გასავლელ საშუალო მანძილსა და ავტომობილის წვის ნორმაზე.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	საბიუჯეტო ორგანიზაციებმა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გახარჯული 923 ლიტრი საწვავის ღირებულების (2,066 ლარი) ბიუჯეტში დაბრუნების უზრუნველსაყოფად.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელ პირი	ნადიმ ბოლქვაძე აუდიტორი ჯგუფის უფროსი ელმისამართი: nbolkvadze@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38